# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 142

„30“ ივნისი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, №1-ში (საკადასტრო კოდი №01.15.07.003.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.003.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 17 ივნისის №20.616.768 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა №1-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: №01.15.07.003.068.01.001; №01.15.07.003.068.01.004), ამავე დანართით განსაზღვრულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, სოფელი ოქროყანა, გურამიშვილის ქუჩა, №1 (ს/კ: №01.15.07.003.068)

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნინელი მებაღიშვილი | 01017027671 | 71.76 კვ.მ. | 01.15.07.003.068.01.001 |
| 2 | ნანული ჯამალაშვილი | 01017034632 | 72.22 კვ.მ. | 01.15.07.003.068.01.004 |